N 01/4557
25/09/2020

4557-01-2-202009251509

სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარეს

ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და კომპანია ,,Doppelmayr Seilbahnen GmbH"-ს შორის 2012 წლის 5 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება, ქალაქ თბილისში, ვარდების მოედნისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო გზის (8 MGD ტიპის მონოგონდოლა) დანადგარების, მათი მონტაჟის და ტესტირების, ასევე, საბაგიროსთან დაკავშირებული საპროექტო სამუშაოების შესყიდვის შესახებ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 20 აპრილის N15.16.355 განკარგულების საფუძველზე, მთაწმინდის პარკთან დამაკავშირებელი საბაგირო გზის მშენებლობასთან დაკავშირებით, თბილისის მერიასა და კომპანია ,,Doppelmayr Seilbahnen GmbH"-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ვალდებულების შესრულება დაეკისრა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას".

საბაგირო გზის თავდაპირველ მარშრუტად განისაზღვრა სასტუმრო „რედისონის" მიმდებარე ტერიტორიიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით, ხოლო 2016 წლის თებერვალში არქიტექტორთა საბჭოს რეკომენდაციით, მოხდა მისი ქვედა სადგურის ლოკაციის ცვლილება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 8 ივნისის N22.03.475 განკარგულების საფუძველზე ახალ ლოკაციად განისაზღვრა სსიპ ,,საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის" მიმდებარე ტერიტორიაზე საბაგირო გზის ძველი სადგურის შენობა. არქიტექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებას ძირითად საფუძვლად დაედო ის გარემოება, რომ მეცნიერებათა აკადემიის ეზოში არსებული ძველი სადგური 1956 წელს ექპლუატაციაში შევიდა უშუალოდ, როგორც საჰაერო-საბაგირო გზის ქვედა სადგური და მისი გამოყენება შესაძლებელი იყო ახალ მარშრუტზე. აღნიშნული მთავრობის გადაწყვეტილებას წინ უძღვოდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს საექსპერტო დასკვნა საბაგირო გზის ქვედა სადგურის შენობის საინჟინრო-გეოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით, ასევე, კომპანია ,,Doppelmayr Seilbahnen GmbH"-ის თანხმობა ქვედა სადგურად, საბაგიროს ძველი სადგურის შენობის გამოყენებასთან დაკავშირებით.

ქვედა სადგურის ლოკაციის ცვლილების შესაბამისად, საბაგიროს პროფილმა განიცადა ცვლილება. აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანია ,,Doppelmayr Seilbahnen GmbH"-თან კონსულტაციების შედეგად დადგინდა რიგი გარემოებები:

1. საბაგიროს პროფილის ცვლილებამ გამოიწვია იმის აუცილებლობა, რომ უნდა გადაკეთდეს უკვე შესყიდული საბაგიროს ტექნოლოგიური ნაწილი და დამზადდეს ახალი დეტალები, რათა ის გამოყენებადი იყოს ახალ ლოკაციაზე.
2. საბაგირო გზის ტექნოლოგიური ნაწილი უკვე წარმოებულია (2012 წ.) და დასაწყობებულია ვულფურტში (ავსტრია) და ოლტენში (შვეიცარია), კომპანია ,,Doppelmayr Seilbahnen GmbH" ვეღარ იძლევა სრულფასოვან გარანტიას საციცოცხლოდ მნიშვნელოვანი დეტალების გამართულ ფუნქციონირებაზე და გვთავაზობს განხორციელდეს ტექნოლოგიური ნაწილის სრულფასოვანი კვლევა, რის შედეგადაც იგი

გასცემს შესაბამის დასკვნას, ხოლო პრობლემების არსებობის შემთხვევაში, გასცემს რეკომენდაციას მათი აღმოფხვრის გზების შესახებ.

3. მოხდა ახალ პროფილზე საბაგირო გზის მონტაჟის რეკალკულაცია.
4. 2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულება არ მოიცავდა სამონტაჟო პერსონალის აკომოდაციის, კვების, საიტზე ტრანსპორტირების, მონტაჟის მექანიზაციის, საბაგირო გზის ტექნოლოგიური ნაწილის გადმოტვირთვა/ დასაწყობება/ ადგილზე ტრანსპორტირება/ სასაწყობე მეურნეობა და შესაბამისი დაცვის ხარჯებს, ამდენად კომპანია ,,Doppelmayr Seilbahnen GmbH“-მ წარმოგვიდგინა მათი კალკულაცია.

დამატებით მოგახსენებთ რომ, “Dopplemayr Seilbahnen GmbH“ –თან 2012 წლის 5 ივნისს გაფორმებული ხელშეკრულების სრული ღირებულება (4’064’300 ევრო) ანაზღაურებულია მომწოდებლისათვის, რაც ავტომატურად გულისხმობს რომ მომავალი საპროექტო სამუშაოების თუ ტექნოლოგიური ნაწილის ნებისმიერი ცვლილება ან/და ახლის დამზადება უნდა განხორციელდეს კომპანია “Dopplemayr Seilbahnen GmbH”-ის მიერ.

ამდენად, შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,გ” ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, თანხმობას, ქ. თბილისში რუსთაველის გამზირიდან მთაწმინდის პარკის მიმართულებით საბაგირო გზის სამშენებლო და საინჟინრო საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განვახორციელოთ გამარტივებული შესყიდვის გზით.

პატივისცემით,

გიორგი შარკოვი

გენერალური დირექტორი